შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ნივთიერი მტკიცებულებები სისხლის სამართალწარმოებაში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი სალომე ბელაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი,

პროფესორი სერგო ჭელიძე

თბილისი

2020

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი „ნივთიერი მტკიცებულებები სისხლის სამართალწარმოებაში“ შედგება შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ნივთიერი ობიექტების მტკიცებულებად გამოყენების ისტორიული ასპექტები საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვება, შეფასება და სწორი ანალიზი განაპირობებს გამოძიების სწორედ წარმართვასა და შემდგომ, სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას.

ნაშრომის მეორე თავში - ნივთიერი მტკიცებულების ცნება, სახეები და კლასიფიკაცია სისხლის სამართლის პროცესში, განხილულია ნივთიერი მტკიცებულებების ცნება და მისი ცალკეული სახეები - დანაშულის იარაღი, დანაშაულებრივი ქმედების საგანი, დანაშაულის შედეგად დატოვებული კვალი. ამავე თავშია მოცემულია მტკიცებულებათა კლასიფიკაცია.

შემდეგ თავში - ნივთიერი ობიექტების შეკრების საშუალებები სისხლის სამართალწარმოებაში, განხილულია ჩხრეკის, ამოღებისა და დათვალიერების თავისებურებები. ამავე თავშია განხილულია ექსპერტიზა და ექსპერტის დასკვნის მნიშვნელობა. აღნიშნული საპროცესო მოქმედება ხორციელდება მაშინ, როდესაც ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევაა საჭირო.

ნაშრომის მეოთხე თავში კი განხილულია ნივთიერი მტკიცებულებების შეფასებისა და ბედის განსაზღვრის თავისებურებები.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება დასკვნით.

Annotation

The presented paper "Substantive Evidence in Criminal Proceedings" consists of an introduction, a review of the literature, four chapters and a conclusion.

The first chapter of the paper discusses the historical aspects of the use of material objects as evidence in Georgia and abroad. Note that obtaining, evaluating, and correcting material evidence leads to the conduct of the investigation and subsequent decision-making by the court.

In the second chapter of the paper, the notion, types and classification of material evidence in criminal proceedings, the notion and types of material evidence, the weapon of crime, the subject of the criminal act, the traces left as a result of the crime are discussed. The same chapter discusses the classification of evidence.

The division of material evidence into types, as well as their classification, is of great theoretical and practical importance, which is why it is important to research and analyze the issue.

In the next chapter, the means of assembling material objects in criminal proceedings, discuss the features of search, removal, and inspection. The same chapter discusses the expertise and the importance of the expert's conclusion. This action is taken when it is necessary to find material evidence or trace the crime.

The fourth chapter of the paper discusses the peculiarities of assessing material evidence and determining fate, noting that one of the most responsible and difficult processes is the process of proving and evaluating evidence, as this process is associated with certain difficulties.

More precisely, these issues are discussed in the paper.

The paper concludes with a conclusion.

სარჩევი

შესავალი 5

ლიტერატურის მიმოხილვა 7

თავი I. ნივთიერი ობიექტების მტკიცებულებად გამოყენების ისტორიული ასპექტები საქართველოში და საზღვარგარეთ 9

თავი II. ნივთიერი მტკიცებულების ცნება, სახეები და კლასიფიკაცია სისხლის სამართლის პროცესში 12

2.1 ნივთიერი მტკიცებულებების ცნება და სახეები 12

2. 1.1. დანაშულის იარაღი, დანაშაულებრივი ქმედების საგანი 16

2.1.2. დანაშაულის შედეგად დატოვებული კვალი 18

2.2. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია 30

თავი I I I. ნივთიერი ობიექტების შეკრების საშუალებები სისხლის სამართალწარმოებაში 34

3.1. ჩხრეკა. ამოღება 35

3.2. დათვალიერება 37

3.3. ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნა 38

თავი 4. ნივთიერი მტკიცებულების შეფასებისა და ბედის განსაზღვრის თავისებურებები 43

დასკვნა 46

გამოყენებული ლიტერატურა 48

შესავალი

თემის აქტუალობა. სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ნივთიერი მტკიცებულებების შეკრებისა და გამოყენების პრობლემებს სისხლისსამართალწარმოებაში. ყოველი ჩადენილი დანაშაულის შემდეგ რჩება სხვადასხვა სახის კვალი, რომელიც იძენს მტკიცებულებით მნიშვნელობას.

მტკიცებულებების სწორად მოპოვებასა და ანალიზს გადამწყვეტი როლი აკისრია ადამიანის მომავლისათვის, რომელიც განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში წარმოუდგენელია მტკიცებულებების გარეშე საქმის გახსნა და პირის პასუხისგებაში მიცემა.

ჭეშმარიტების დადგენა სწორედ მტკიცებულებების საშუალებით არის შესაძლებელი. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ნივთიერ მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოყენების თავისებურებები. ეს ის მტკიცებულებებია, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტილ მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დადგენის საქმეში.

ნაშრომში საუბარია ასევე ნივთიერ მტკიცებულებათა ცნებასა და სახეებზე, მტკიცებულებათა კლასიფიკაციაზე, დანაშაულებრივი ქმედების საგნებზე და დანაშაულის შედეგად დატოვებულ კვალზე. ნაშრომში განხილულია ნივთიერი ობიექტების შეკრების საშუალებები - ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება. ბოლოს კი საუბარია ნივთიერი ობიექტების შეფასებისა და ბედის განსაზღვრის თავისებურებებზე.

თემა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არასდროს არ კარგავს აქტუალურობას. სწორედ ნივთიერი მტკიცებულებების, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, შეფასების შემდეგ, იღებს მოსამართლე გადაწყვეტილებას, ხოლო ამ გადაწყვეტილებას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ბედი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ თემის ირგვლის იყოს მუდმივი დისკუსიები და აღმოიფხვრას ყველა ის პრობლემა, რასაც შეიძლება წავაწყდეთ საგამოძიებო პრაქტიკაში ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვებასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

აუცილებელია, რომ იმ პირებს, რომელთაც აქვთ უფლება, შეკრიბონ ნივთიერი მტკიცებულებები, სიღრმისეულად ჰქონდეთ გააზრებული მათი მნიშვნელობა როგორც

სასამართლოსთვის, ისე, მთლიანად, სახელმწიფოსთვის, რადგან ერთმა არასწორმა ქმედებამ შეიძლება ისე დააზიანოს მტკიცებულება, რომ იგი გამოუსადეგარი გახდეს ან სულაც შესაძლოა განადგურდეს და შეუძლებელი გახდეს საქმის გახსნა და სამართლიანი განაჩენის დადგენა.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები. ნაშრომის მიზანია ნივთიერი ობიექტების, როგორც მტკიცებულებების არშის და თავისებურებების შესწავლა, მათი მნიშვნელობის გამოკვეთა სისხლის სამართლის პროცესში, ხაზგასმა იმისა, თუ რამდენად დიდი როლი აკისრია მათ დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. კვლევისას შევეცადე გამომევლინა ის ხარვეზები, არასწორი ტენდენციები, რაც მთელ რიგ შემთხვევებში ხელს უშლის ამ სახის მტკიცებულებების სრულყოფილად და ეფექტურად შეკრებას, გამომეყო და გამეანალიზებინა ნივთიერი მტკიცებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ასევე გამომეკვეთა ის ხერხები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნივთიერი ობიექტების შეკრება.

კვლევის მეთოდები. კვლევისას გამოყენებულ იქნა კვლევის ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი მეთოდი და სტატისტიკური მეთოდი.

საინფორმაციო ბაზა. ნაშრომის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ნორმატიული მასალა, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენებას ძალზედ დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც გ. ნადარეიშვილი თავის წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, აღნიშნავს, ნივთიერ მტკიცებულებებს დოკუმენტთან და მოწმის ჩვენებასთან ერთად, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ.

ნივთიერი მტკიცებულებების აუცილებლობაზეა საუბარი ძველი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნის ინდურ და ჩინურ ცნობებში. აღნიშნულის შესახებ საუბარია ს. ჭელიძის საკანდიდატო დისერტაციაში „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლელობის საქმეთა გამოძების პროცესში.“ როგორც ჩანს, ნივთიერი მტკიცებულებების ისტორია ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე დაიწყო.

ნივთიერი მტკიცებულებების როლზე ძველ ქართულ სამართალში მოგვითხრობს გ. ნადარეიშვილი წიგნში „ნაკრევები სამართლის ისტორიიდან“, გამომც. „საბჭოთა სამართალი“. მასში ხაზგასმულია, რომ ქართულ სამართალში ნივთიერი მტკიცებულებები ძველესი დროიდან გვხვდება, მაგალითად, გიორგი III - ის 1170 წლის სიგელი, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“ (1334-1335 წ.წ.) და ვახტანგ VI -ის „სამართლის წიგნი“ და სხვა.

სამყაროს განვითარებასთან ერთად, განვითარდა სამართალიც. თანამედროვე გამოწვევებს ეხება რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, წიგნში კრიმინალისტიკა, თბ., 2009. მასში აღნიშნულია, რომ საუკუნის მიწურულს დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლაში ტექნოლოგიების განვითარებამ გადატრიალება მოახდინა, რაც გულისხმობს მეცნიებისა და იმ ტექნიკური საშუალებების დახვეწას, რომლის მეშვეობითაც ხდება მტკიცებულებების მოპოვება.

ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ., წიგნში „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“ თბ., 2016, აღნიშნავენ რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნივთიერ მტკიცებულებათა დასაშვებობასა და მოპოვების ხერხებს 1787 წლის კონსტიტუცია არეგულირებს და აღსანიშნავია ისიც, რომ მათი წესები ძალიან ჰგავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაწერილ კანონებს.

ნაშრომი ეფუძნება ასევე თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მკვლევართა მოსაზრებებს და დასკვნებს.

საინტერესოდაა მოცემული ნივთიერი მტკიცებულებების კლასიფიკაცია ი. ჩხეიძის ნაშრომში „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, თბ., 2010. შ. ფიცხელაური წიგნში „სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა)“, თბ., 2005, აღნიშნულია, რომ შემთხვევის ადგილზე მუშაობისას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისა და ფეხის კვლების კრიმინალისტიკურ ანალიზს, ვინაიდან დამნაშავე ყოველთვის ცდილობს წაშალოს კვალი და სწორედ ამ მცდელობების დროს იგი თავისდაუნებურად ტოვებს კვალს დანაშაულის ადგილზე.

გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია სხვა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები.

თავი I. ნივთიერი ობიექტების მტკიცებულებად გამოყენების ისტორიული ასპექტები საქართველოში და საზღვარგარეთ

სისხლისსამართალწარმოების პროცესში ნივთიერ მტკიცებულებებს ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მათი მოპოვების ხერხები კი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა. სიმართლის დასადგენად ნივთიერ მტკიცებულებებს ძველ ეგვიპტეშიც კი იყენებდნენ, სადაც მტკიცებულებათა სახეებად მიჩნეული იყო ნივთიერი მტკიცებულება, დოკუმენტი და მოწმის ჩვენება.

მაგალითად, თუ ვინმე საფლავს შეურაცხყოფდა, ხდებოდა დანაშაულის ადგილის დათვალიერება და ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვება. ასევე, პირის მიერ დადებულ ფიცს ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა და ითვლებოდა უნივერსალურ მტკიცებულებად, რადგან ძველ ეგვიპტეში „ფიცი იყო დამამტკიცებელ საბუთთა მეფე“.[1]

ძველი ინდოეთის სამართლის წიგნში - მანუს კანონები, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნით თარიღდება, ნათქვამია, რომ „სამართლიანმა მეფემ არ უნდა დასაჯოს ქურდი, თუ მას ვერ უპოვნა ნაქურდალი, ხოლო ნაქურდალი ნივთის პოვნის შემდეგ, ის უყოყმანოდ უნდა დაისაჯოს.“[2]

ზემოხსენებული კანონით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნივთიერ მტკიცებულებას ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე განსაკუთრებული როლი ჰქონდა სამართლის აღსრულებაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ X-XIII საუკუნეებში, ჩინეთის ტერიტორიაზე ნივთიერ მტკიცებულებად მიიჩნეოდა მატერიალური ობიექტი.[3]

ნივთიერ მტკიცებულებათა როლი ასევე გვხვდება საეკლესიო სამართალშიც და იგი მოიხსენიება, როგორც ნივთმტკიცება - „ნივთმტკიცებას, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებლად ესაჭიროება ჩვენება, რომელიც გაამყარებს მას.“[4]

---

[1] გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2008, გვ. 21;
[2] ს. ჭელიძე, საკანდიდატო დისერტაცია „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლელობის საქმეთა გამოძების პროცესში, თბ., 2005, გვ. 123;
[3] იხ. იქვე, გვ 22.
[4] გ. ნადარეიშვილი, ნაკრებები სამართლის ისტორიიდან, გამომც. „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1986, გვ. 164;

ქართულ სამართალში ნივთიერი მტკიცებულებები ძველესი დროიდან გვხვდება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ გიორგი III -ის 1170 წლის სიგელი, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“ (1334-1335 წ.წ.) და ვახტანგ VI -ის „სამართლის წიგნი“.[5]

მსოფლიო სამართლის ისტორიიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ნივთიერ მტკიცებულებას ადრეული პერიოდიდან დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონია სისხლის სამართლის დანაშაულების დროს და უმეტეს შემთხვევაში - გადამწყვეტიც კი.

ძველ ქართულ სამართალში კი დანაშაულს რელიგიური დატვირთვაც ჰქონდა. ითვლებოდა, რომ დანაშაული - იგივე ცოდვაა და ყველა სასჯელი უფლის სახელით სრულდებოდა.

სამყაროს განვითარებასთან ერთად, განვითარდა სამართალიც. მე-19 საუკუნის მიწურულს დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლაში ტექნოლოგიების განვითარებამ გადატრიალება მოახდინა, რაც გულისხმობს მეცნიებისა და იმ ტექნიკური საშუალებების დახვეწას, რომლის მეშვეობითაც ხდება მტკიცებულებების მოპოვება. [6]

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნივთიერ მტკიცებულებათა დასაშვებობასა და მოპოვების ხერხებს პრეცედენტული ნორმები და 1787 წლის კონსტიტუცია არეგულირებს და აღსანიშნავია ისიც, რომ მათი წესები ძალიან ჰგავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაწერილ კანონებს.[7]

დღევანდელ რეალობაში კი, მტკიცებულების ცნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით განმარტებულია, როგორც: „....კანონით დადგენილი წესით, სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზე მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ“.[8]

ამ თავში განხილული ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული, ნივთიერ მტკიცებულებებს

---

[5] მ. ბიჭია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, გამომც, „იურისტების სამყარო“, თბ., 2013, გვ. 193;
[6] რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 2009, გვ. 106;
[7] ქ. ჩომახაშვილი, თ. თომაშვილი, გ. ძებნიაური, ს. ოსეფაშვილი, მ. პატარიძე, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 42;
[8] https://matsne.gov.ge/ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-3 მ. 25.(ნანახია/;25.05.2020)

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მათი მოპოვების ხერხები და საშუალებები კი დროთა განმავლობაში იხვეწებოდა.

თავი II. ნივთიერი მტკიცებულების ცნება, სახეები და კლასიფიკაცია სისხლის სამართლის პროცესში

2.1 ნივთიერი მტკიცებულებების ცნება და სახეები

ნივთიერი მტკიცებულებების ცნებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილი განსაზღვრავს. ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც ნიშან-თვისებებით, წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, მასზე დატოვებული კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის ფაქტობრივ გარემოებებთან და რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს დანაშაულის აღმოჩენაში, დამნაშავის დადგენაში ან ბრალდების უარყოფაში.

„ნივთიერია ისეთი მტკიცებულება, რომელიც გამოსახულია მატერიალური ობიექტის სახით, მაგალითად: ფეხის კვალი, ნივთები, საგნები, ფასეულობა და ა.შ. მატერიალური ობიექტების შემცველი ინფორმაცია გადმოცემულია არა სიტყვიერი ფორმით, არამედ საგნის ნიშნების უშუალო აღქმით. ნივთიერი მტკიცებულება საჭიროებს მისი ზოგადი და კერძო ნიშნების ფიქსირებას, აღმოჩენის ადგილის აღწერას, მისგან ტვიფარის დამზადების პროცესის ასახვას და ა.შ.“ [9]

გ.ი. კოჩაროვისა, ს.ს. სტეპიჩევისა და სხვათა აზრით, ფირი, რომელზედაც დაქტილოსკოპიური ნიმუშია გადატანილი, კვალიფიცირდება ნივთიერ მტკიცებულებად, თუმცა ბ. ხარაზიშვილის მოსაზრებით, აღნიშნული დასკვნა მოკლებულია დასაბუთებას, რადგან რაიმე საგანზე დატოვებული ანაბეჭდი ან კვალი ერთიანად არის მიზეზობრივ კავშირში მტკიცებულებასთან და არ შეიძლება მისი ცალკე გამოყოფა. „ფირი, რომელზედაც გადატანილია ანაბეჭდი, არ შეიძლება ჩითვალოს ნივთსაბუთად, თუნდაც იმიტომ, რომ მას იყენებს გამომძიებელი (მომკვლევი), როგორც ტექნიკურ საშუალებას შემდგომში შედარებითი გამოკვლევისთვის“. [10]

---

[9] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2008, გვ. 134;
[10] ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, თსუ-ს გამომც., თბ. 1982, გვ. 256.

ნივთიერი მტკიცებულება, მტკიცებულებათა სახეების მხოლოდ ერთი ნაწილია. მტკიცებულებათა სახეებიდან ასევე გვხვდება: მოწმის ჩვენება, ბრალდებულის ჩვენება, პრეიუდიცია და დოკუმენტი.

მოწმის ჩვენება - სისხლის სამართალწარმოებაში მოწმე შეიძლება იყოს პირი, რომელიც შესაძლოა ფლობდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც პროცესში იქონიებს გავლენას ჭეშმარიტების დასადგენად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, მოწმის სტატუსი და უფლება-მოვალეობები პირმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ ფიცის დადებისა და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გაფრთხილების შემდეგ.[11] ფიცი შეიძლება იყოს როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური.

ბრალდებულის ჩვენება - ბრალდებული არის „პირი, რომლის მიმათაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული". პირი ბრალდებულის სტატუსს იძენს იმ მომენტიდან, როდესაც მის მიმართ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო აღნიშნულ სტატუსს პირი ინარჩუნებს პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენის გამოტანამდე. ბრალდებულის ჩვენება არის სასამართლოში მიცემული ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს.

პრეიუდიცია - პრეიუდიცია არის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტები და გარემოებები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. სიტყვის წარმომავლობა ლათინური „praeiudicium" -დან მოდის და ნიშნავს „წინასწარ გადაწყვეტილს".[12]

პრეიუდიციას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს შემდეგნაირად - ეს შეიძლება იყოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, განაჩენი ნასამართლეობაზე, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის

---

[11] https://matsne.gov.ge/ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 3, ნაწ. 20; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 258; (ნანახია/;15.06.2020)

[12] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 222.

არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის და ნებისმიერი სხვა გარეოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.[13]

დოკუმენტი - დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება ნივთიერი მტკიცებულებებისგან განსხვავებით გამოირჩევა არა ნიშან-თვისებებით, არამედ მისი შინაარსით. ხშირად დოკუმენტს მიიჩნევენ, როგორც ნივთიერ მტკიცებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შუნაცვლადობის თვისება გააჩნია. დოკუმენტის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით დართვისთვის საჭიროა: დოკუმენტის წარმომავლობის ცოდნა. იგი აუცილებლად უნდა იყოს ავთენტური, ასევე დოკუმენტი იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა ან/და რომელთანაც სასამართლოსთვის წარდგენამდე ინახებოდა.

ნივთიერი მტკიცებულება - ნივთიერი მტკიცებულება წარმოადგენს მატერიალური სახის ობიექტს. იგი ისეთი სახის მტკიცებულებაა, რომელიც თავისი ნიშან-თვისებით, მასზე დარჩენილი კვალით, ასევე მისი აღმოჩენის ადგილითა და დროით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქამის ფაქტობრივ გარემოებასთან. ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს როგორც საგანი, ისე დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა სახის მატერიალური ობიექტი.

ნივთიერი მტკიცებულება, მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტი შეიძლება იყოს. თუმცა აუცილებელია აღნიშნულ ობიექტს ახასიათებდეს მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და ამავდროულად, მოპოვებული იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ნივთიერი მტკიცებულება შესაძლოა იყოს როგორც თითის ანაბეჭდი, ფეხის კვალი, სატრანსპორტო საშუალების საბურავების კვალი, ასევე სიგარეტის ნამწვავი, დოკუმენტები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები და სხვა.

საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მხოლოდ ის მტკიცებულება დაიშვება რომლის ავთენტიკურობაც შესაბამისი წესით დასტურდება.

---

[13] საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 274.

ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებოვისათვის აუცილებელია დასაბუთდეს მისი ავთენტურობა.

საინტერესოდაა მოცემული ნივთიერი მტკიცებულებების კლასიფიკაცია ი. ჩხეიძის ნაშრომში:

- „ საგანი, რომელიც დანაშაულის იარაღია;
- საგანი, რომელზეც დანაშაულის კვალია ასახული;
- საგანი, რომელიც დანაშაულის ობიექტია;
- დანაშაულის გზით მოპოვებული ფული ან სხვა ფასეულობა;
- ნებისმიერი სხვა ნივთი ან დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც დანაშაულის აღმოჩენა, დამნაშავის გამოვლენა თუ ფაქტობრივი გარემოებების დადგენაა შესაძლებელი.“[14]

უნდა გვახსოვდეს, რომ ამოღებულ ნივთიერ მტკიცებულებებს იმთავითვე ძალა არ აქვს, რადგან ის სასამართლოს მიერ უნა იქნას აღიარებული ნივთიერ მტკიცებულებად. ამა თუ იმ საგნის ნივთიერ მტკიცებულებად აღიარებისთვის იგი უნდა ხასიათდებიდეს შეუნაცვლადობით ანუ თუ აღნიშნული ნივთის ანალოგიური საგანი ან მისი ასლი მოიპოვება, ეს საგანი ნივთიერი მტკიცებულება ვერ იქნება.

ნივთიერ მტკიცებულებაზე დანაშაულის შედეგად დარჩენილი კვალის უშუალოდ ასახვის გამო, ის შეუნაცვლებლობით ხასიათდება, რადგან დანაშაულის შედეგად დარჩენილი კვალი უშუალოდ აისახება ნივთიერ მტკიცებულებაზე. ამგვარად, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ნივთი შეიძლება იქნეს შეცვლილი, ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევა.[15]

ამასთანავე, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს, აღიწეროს და შემდეგ დაილუქოს. ყოველივე ეს კი უნდა აღიწეროს საპროცესო დოკუმენტებში, რადგან სწორედ ეს ქმნის დასაშვებობის წინაპირობებს.

---

[14] ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 99;
[15] იქვე.

ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემოწმების, აღწერის და დალუქვის წესის დარღვევამ შესაძლებელია მისი დაუშვებლად ცნობა გამოიწვიოს, რადგან, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვები მის წარმომავლობასთან და სანდოობასთან დაკავშირებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის ორივე მხარე თავისუფალია არჩევანში, თუ ზევით აღნიშნული მტკიცებულებებიდან, რომელს წარადგენს სასამართლოში.

2. 1.1. დანაშულის იარაღი, დანაშაულებრივი ქმედების საგანი

დანაშაულის იარაღი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთიერი მტკიცებულებაა სისხლის სამართლის პროცესში. სხვადასხვა ნორმატიულ მასალაში დანაშაულის იარაღად მიჩნეულია ცეცხლსასროლი იარაღი, ცივი იარაღი, როგორიცაა დანა და სხვა. ასევე დანაშაულის იარაღად შეგვიძლია მივიჩნიოთ ყველა ის საგანი, რომელიც განზრახ იყო დამზადებული ან მომარჯვებული პიროვნების სხეულის დასაზიანებლად ან მოსაკლავად. ასევე ავტომობილი ან სხვა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმ პირს ეკუთვნოდა, ვინც ჩაიდინა ყაჩაღობა, ქურდობა ან სხვა დანაშაული.[16]

რა თქმა უნდა, ყველაზე ხშირად დანაშაულის იარაღად გვხვდება ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, თუმცა, ხშირია ტექნიკურად დაუმუშავებელი, ბუნებრივი მასალების გამოყენება დანაშაულის დროს, როგორიცაა ქიმიური რეაქტივები, საწვავი ნაერთები და სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ გვაძლევს დანაშაულის იარაღის ცნებას, თუმცა, სხვადასხვა სამართლებრივ ლიტერატურაში, სხვადასხვანაირად არის განმარტებული მისი მნიშვნელობა, რომელთაგან, ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტ განმარტებას აკეთებს ს. სირკოვი. იგი ამბობს, რომ დანაშაულის იარაღის კლასიფიკაცია

[16] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემები მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005, გვ. 42-43.

შეიძლება მოხდეს ხელყოფის საგნის, ზემოქმედების ხასიათის, სირთულის და დანაშაულების მიხედვით.[17]

იმისდა მიუხედავად, რომ სიროკოვის სადისერტაციო ნაშრომი მე-20 საუკუნით თარიღდება, დღემდე აქტუალურობას არ კარგავს, რადგან მისი კლასიფიკაცია მოიცავს თითქმის ყველა იმ შესაძლო ვარიანტს, რაც შეიძლება შეგვხვდეს სისხლის სამართლის საქმეში.

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ამ დანაშაულის საგანია ნარკოტიკული ნივთიერება. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოვლენილია ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარებაში ამ ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ.[18]

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ვკითხულობთ, რომ „ცეცხლსასროლი იარაღი არის სპეციალურად შექმნილი საშუალება ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად“.[19]

კრიმინალისტები კი ცეცხლსასროლ იარაღს ჰყოფენ დამზადების წესის, ვაზნათა რაოდენობის, ყალიბის, ლულის სიგრძისა და შინაგანი აგებულების, ლულათა რაოდენობის, ავტომატურობის და დანიშნულების მიხედვით. [20]

ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად კრიმინალისტიკაში ყველაზე „პოპულარულ“ იარაღად ცივი იარაღი ითვლება, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს: მჭრელპირიანი, სხვა მჭრელი, მჩეხავი, მჩხვლეტავი ან ერთობლივი მოქმედების საბრძოლო ნაჯახი ან სხვა. დამრტყმელ-გამაპობელი მოქმედების იარაღი.[21]

შეუძლებელია როდისმე მოხდეს დანაშაულის იარაღის ზუსტი კლასიფიკაცია, რადგან დანაშაულის იარაღად პირმა ნებისმიერი რამ შეიძლება გამოიყენოს, მითუმეტეს, რომ ადამიანის წარმოსახვის უნარი და ფანტაზია უსაზღვროა. ამიტომ, მნიშვნელოვანია ყველა დანაშაულს მივუდგეთ ინდივიდუალურად.

---

[17] С.М. Сырков, Орудия преступления. Авт. дис. канд. юр. наук. Ленинградю., 1937, С. 6;
[18] საქმე №130აპ-17 - http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ნანახია:05.06.2020)
[19] https://police.ge/ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 2003, მუხ. 2. .(ნანახია;25.06.2020)
[20] ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 2000, გვ. 188; რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 2009, გვ. 201;
[21] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემები მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005, გვ. 48.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დანაშაულის იარაღი არის ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ანდა სპეციალურად ადაპტირებულია დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩადენის გასამარტივებლად, უპირობოდ განიხილება, როგორც დანაშაულის იარაღი.[22]

სხვა გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სასამართლო დანაშაულის საგანს ან/და იარაღს ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ჩამოართმევს - სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვეთილია დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.[23]

2.1.2. დანაშაულის შედეგად დატოვებული კვალი

საბედნიეროდ, დღესდღეისობით გვაქვს შესაძლებლობა, რომ გაუხსნელი დანაშაულების რიცხვი მინიმუმამდე დავიყვანოთ. განვითარდა კრიმინალისტიკური ტექნიკა, რომელიც კრიმინალისტიკის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს.

ტრასოლოგია კრიმინალისტიკური ტექნიკის დამოუკიდებელი დარგია, რომელიც სწავლობს დამნაშავის მიერ დანაშაულის ადგილზე დატოვებულ კვალს და სხვა მტკიცებულებათა ეფექტურ აღმოჩენას, ფიქსირებას და სხვა ტაქტიკურ ხერხებს, რომელიც დაეხმარება გამოძიებას საქმის წარმატებით გახსნაში. „ტრასოლოგია“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მოძღვრებას კვალთა შესახებ (trace-კვალი, logos-მოძღვრება).[24]

რიჰარდ კოკელის მიერ, რომელიც გამორჩეული და ცნობილი გერმანელი მეცნიერი გახლდათ გასული საუკუნის 30-იანი წლებისთვის, სასამართლო მედიცინის ახალი

---

[22] საქმე # 330100118002316627 - http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ნანახია:05.06.2020)
[23] საქმე №693ა3-17 - http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ნანახია:05.06.2020)
[24] რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმილანისტიკა, თბ., 2009, გვ. 144.

მიმართულებები იქნა შესწავლილი. მნიშვნელოვან გარემოებად იქნა მიჩნეული ბიოლოგიურ ნიმუშთა ანალიზი, მტვრის კვალი და მათი ანალიზი, ასევე ქსოვილის ძაფები და მათი ანალიზი, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი შედარებითი ანალიზი, როგორიცაა ხელწერის შედარება. [25]

ტრასოლოგია განეკუთვნება კრიმინალისტიკური ტექნიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, რომელიც ტექნიკური და სამეცნიერო ინსტრუმენტების გამოყენების მეშვეობით, და სხვადასხვა კრიმინალისტიკურ მეთოდთა ერთობლიობით, ახერხებს იმ ფაქტების დადგენას და გამოკვლევას, რომელიც უკავშირდება დანაშაულს და მის სიახლოვეს მყოფ ნებისმიერ საკითხს, რაც ნივთიერი მტკიცებულების სახით არსებობს ბუნებაში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა კვალის წარმოშობის მექანიზმს.

ტრასოლოგიური გამოკვლევა დაფუძნებულია მნიშვნელოვან პრინციპებზე, რომლის ტანახმადაც, ყველა საგანი სამყაროში ხასიათდება თავისი ინდივიდუალურობითა და განსხვავებულობით.

კვალი, ერთის მხრივ, შეიძლება იყოს ერთი ობიექტის ნიშან-თვისებების ასახვა მეორეზე, როგორიცაა ხელის, ფეხის ან სატრანსპორტო საშუალების კვალი. მეორეს მხრივ, კვალი შეიძლება დატოვოს რაიმე სახის ცვლილებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენისას ან მისი დაფარვის მცდელობის პროცესში. ეს ქმედებები შეიძლება იყოს ნივთის გადაადგილება, დაზიანება, მიკრონაწილაკების გადასვლა ერთი ობიექტიდან მეორეზე, საგანთა ან კვალთა სახეცვლილება რაც გამოიწვია, ქიმიურმა, სითბურმა ან მექანიკურმა ზემოქმედებამ.[26]

შემთხვევის ადგილზე მუშაობისას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისა და ფეხის კვლების კრიმინალისტიკურ ანალიზს, ვინაიდან დამნაშავე ყოველთვის ცდილობს წაშალოს კვალი და სწორედ ამ მცდელობების დროს იგი თავისდაუნებურად ტოვებს კვალს დანაშაულის ადგილზე.[27]

---

[25] ი. ტორვალდი, კრიმინალისტიკის ასი წელი, თბ., 1978, გვ. 48;
[26] შ. ფაფიაშვილი, დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, თბ. 1999, გვ. 144;
[27] შ. ფიცხელაური, სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 164.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების სწორად გამოყენებას, გამომძიებელმა და კრიმინალისტმა კარგად უნდა იცოდეს, სად მოძებნოს სამხილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ადგილი ხალხმრავალი ადგილია და ასეთ ადგილას რთულია განასხვავო დამნაშავისა და უდანაშაულო ადამიანის კვალი.

როგორც უკვე ავღნიშნე, ტექნოლოგიების დახვეწამ დიდი როლი ითამაშა კრიმინალისტიკის განვითარებაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰქონდეს მდიდარი აღჭურვილობა და მრავალფეროვანი ხელსაწყოები დანაშულის ადგილზე სამუშაოდ. საქართველოში გვაქვს მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას იძლევა დროის უმოკლეს პერიოდში ჩატარდეს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა და რა თქმა უნდა, ცხელ კვალზე მოხდეს დამნაშავის იდენტიფიცირება.

დანაშაულის გამოძიების პროცესში ვაწყდებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გამოკვლევა და დადგენა უტყუარად არის მიჩნეული ტრასოლოგიური გამოკვლევის მთავარ საგნად, რომლის გარეშე, ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნებოდა სრულყოფილი კვლევის წარმოება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფებად შესაძლებელია დავყოთ ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად იმ საკითხთა გადაწყვეტა, რომელიც მეცნიერების აღნიშნულმა დარგმა უნდა შეისწავლოს.

ისეთი საკითხები განეკუთვნება პირველ ჯგუფს, როგორიც არის ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად ობიექტების დადგენა, რომლებიც ხასიათდებიან კონკრეტული მახასიათებლებით. აღნიშნული შეიძლება ასევე მოვიხსენიოთ, როგორც ინდივიდუალური მაიდენტიფიცირებელი ფაქტორებადაც.

მეორე ჯგუფში ხდება ჯგუფური კუთვნილების დადგენა და იმ მახასიათებელების მიკუთვნება, რაც ზოგადად ახასიათებს შესაბამის ჯგუფს. მაგალითად, ფეხსაცმლის ზომა ან ხვეულის ქარგა, ანდა ფეხის თითის ანაბეჭდი და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც ზოგად მაჯგუფებელ კრიტერიუმებად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

რაც შეეხება მესამე ჯგუფს, ამ შემთხვევაში უნდა მოვიაზროთ ის მახასიათებელი ნიშნები, რაც პიროვნებას გამოარჩევს, მისი კონკრეტული ნიშანთვისებებიდან გამომდინარე.

ამ შემთხვევაში შეგვიძლია იგივე მაგალითი მოვიყვანოთ, თუ წინა ორ ჯგუფში მნიშვნელოვანი იყო დადგენილი ყოფილიყო ფეხის ზომა ან სხვა მაიდენტიფიცირებელი გარემოებები, მესამე ჯგუფში ხდება სიარულის მანერის, ნაბიჯების გადადგმის სიგრძისა და ფეხის დადგმის თავისებურებები, რაც მომდინარეობს პიროვნების ფსიქოპორტრეტიდან და მისი დადგენა შესაძლებელია ტრასოლოგიური ექსპერიმენტის შედეგად.

მეოთხე ჯგუფი მოიაზრებს მექანიზმებს, რომელიც განსაზღვრავს კვალის წარმოშობას, მაგალითად ისეთი ზემოქმედება, რომელიც წარმოშობილია მექანიკური ან სითბური კვალის შედეგად ან ზედაპირზე შეხებით წარმოშობილი კვალი, ასევე საყურადღებოა, ხახუნით, გადაგდებით თუ მბურღავი საშუალებებით წარმოქმნილი კვალი, რაც ტრასოლოგიური გამოკვლევის პროცესში აქტუალურობას პოულობს.

ბოლო ჯგუფად აუცილებლად უნდა მოვიაზროთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როდესაც კვალის ანალიზის შედეგად დგინდება შემთხვევის ადგილის ცალკეული გარემოებები. მაგალითად, დანაშალის ჩადენის დროს პირთა რაოდენობა, ხერხი, რომლის გამოყენებითაც მოხდა შენობაში შეღწევა, კვალის დატოვების დრო, საკეტების და სხვა მოწყობილობების გახსნის მეთოდოლოგია და ხერხები. ამ შემთხვევაში ასევე ყურადღება ექცევა, მაგალითად, იმას, საკეტი რომელი მხრიდან არის გაღებული - შიდა თუ გარე მხრიდან.[28]

ფული და ფასეულობა:

ყველაზე ხშირად სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მიზეზი ფული და ფასეულობაა. ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, ეს ის დანაშაულებია, რასაც ადამიანები ჩადიან მატერიალური სარგებლის სანახავად. მატერიალური სარგებელი შეიძლება იყოს როგორც ფული, ისე მოძრავი ქონება, როგორიცაა მანქანა, ძვირფასეულობა ხელოვნების ნიმუში და ფასიანი ქაღალდები.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის საშუალებებზე არ მიგვითითებს. მნიშვნელოვანია დადგინდეს დანაშაულის ფაქტი

[28] რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 2009, გვ. 145.

და მისი კავშირი შემენილ ფასეულობასთან. ასეთ ობიექტებს სჭირდებათ ფაქტებით გამყარებული სხვა მტკიცებულებები. [29]

დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს კრიმინალისტიკური ტექნიკა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საგამოძიებო პროცესში.

საგნები, რომლებიც ერთი შეხედვით, ერთგვაროვანია თავისი სერიულობიდან გამომდინარე, სამყაროს კანონზომიერებიდან გამომდინარე, თავის თავში ატარებენ ინდივიდუალურობის და განსხვავებულობის სპეციფიკურ ნიშნებს, რაც, არსებითად, მნიშვნელოვანია აღნიშნული მეცნიერული კვლევის საქმეში.

მხოლოდ განუმეორებლობა და ინდივიდუალურობა არ არის საკმარისი ტრასოლოგიისათვის და შესაბამისი გამოკვლევების საწარმოებლად. იმისათვის, რომ თუნდაც სერიული საგნები ან არსებითად განსხვავებული და ინდივიდუალური ნივთები გამოძიებისათვის საინტერესო იყოს, ამისათვის შესაბამისი ობიექტის ნიშნები უნდა იქნას აღბეჭდილი სხვა მატერიაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სხეულზე არ აისახება კვალი, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება მისი გამოკვლევა. შედარებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია ყოველი კვალი და საგნის ნიშან თვისებები, რომელიც ასახვას პოვებს ობიექტში. ასახული ნიშნები არ უნდა იცვლებოდეს დროსი გარკვეულ პერიოდში.[30]

კვალი აუცილებლად უნდა იყოს კვლევისათვის ვარგისი და შესაბამისად ვარგისი, რათა არ მოხდეს კვლევის წარმოების დაბრკოლება. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული კვალი ექსპერტებს არ აძლევთ შესაბამისი გამოძიების წარმართვის საშუალებას, ასევე არ არის შესაძლებელი გამოძიების მეთოდიკის განხორციელება, ასეთ პირობებში ექსპერტმა დასკვნაში აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ არსებული დაუძლეველი წინაღობის გამო საკითხის ჯეროვანი გადაწყეტა შეუძლებელია.

ფართო და ვიწრო გაგებით შეიძლება იქნეს გაგებული კრიმინალისტიკაში კვალი, რომელიც მნიშვნელოვან და ამოსავალ წერტილს წარმოადგენს გამოძიების პროცესში. ყველა

---

[29] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა არსი და მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის საქმეში, ჟურნ. სამართალი, 2001, გვ. 63;

[30] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 15.

სახის ცვლილება, რომელიც დანაშაულის ჩადენისა და დაფარვის პროცესში გამოვლინდა, უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც კვლის ფართო გაგების მიმართულება. ეს გულისხმობს ისეთ მოქმედებებს, რომელის მოქმედების შედეგად გამოწვეული ცვლილებები საგნებზე, მათ გადაადგილებასა თუ სახეცვლილებაზე, აზიანებს კვალს, როდესაც მიკრონაწილაკების აღრევა ხდება ერთი ზედაპირიდან მეორეზე, რაც ცვლის ზედაპირის მორფოლოგიურ სტრუქტურას.

ასეთი ცვლილებები შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც ქიმიური, ისე მექანიკური და სითბური ზემოქმედების შედეგად, რაც სახეს უცვლის და ზემოქმედებს კვალთა ყოველგვარ პირვანდელ მდგომარეობაზე და მას უკარგავს ობიექტურ და ჭეშმარიტ ღირებულებას.[31]

ვიწრო გაგებით, კვალი უნდა მივიჩნიოთ, როგორც ერთი ობიექტის თვისებათა ასახვა მეორე ობიექტზე, რომელიც მატერიალური სახით არის ფიქსირებული ზედაპირზე. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, მაგალითად, ისეთი სახის კვალი, როგორიც არის სატრანსპორტო საშუალებათა ან ფეხის კვალი, ასევე იარაღის თუ სხვადასხვა ხელსაწყოთა და მოწყობილობათა კვალი და სხვა.

ყველა შემთხვევაში, მიზანშეწონილი და აუცილებელია ტრასოლოგიური კვლევის სამეცნიერო პრინციპთა და იმ აუცილებელ დებულებათა გათვალისწინება, რაც ტრასოლოგიურ გამოკვლევას შესაძლებელს გახდის. მათ შეიძლება მივკუთვნოთ საგნის ნიშან-თვისებების ასახვის უნარი და მახასიათებლები, უცვლელობა, კვალთა კლასიფიკაციის ფაქტობრივი შესაძლებლობა.

მსგავსი ტიპის დაყოფას საფუძვლად უდევს ორი არსებითად ზოგადი ნიშანი: კვალის წარმოქმნის მექანიზმი და მისი სახე. კვალის წარმომქნელად უნდა განვსაზღვროთ კვალის მიმღები და წარმომქნელი ობიექტი. ცვლილებების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოვყოთ:

- კვლები- გამოსახულებები;
- კვლები- საგნები;

[31] შ. ფაფიაშვილი, დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, თბ., 1999, გვ. 144.

- კვლები- ნივთიერებები.

კვალი - საგანი წარმოადგენს ობიექტს, რომელსაც გააჩნია მყარი ფორმა, რომელიც მოიცავს მის წამოშობის მექანიზმებსა და საშუალებებზე გარკვეულ ინფორმაციას.

კვალი-ნივთიერებაა, რომელიც წარმოადგენს სითხის მსგავს ფხვიერ სუბსტანციას, რომელსაც მიზეზორივი კავშირი გაჩნია დანაშაულის მომზადებასთან, დაფარვასთან ან დანაშაულის ჩადენასთან. მას განეკუთვნება ბიოლოგიური სხეულები, ასევე მექანიკური ან ქიმიური ნივთიერებათა შედეგად მიღებული სხვადასხვა კვლები.

ტრასოლოგიაში გამოიყოფა:

- კვლევის მიმღები ობიექტის ზედაპირის დეფორმაცია;
- კვლევის წარმომქნელი ობიექტის მოძრაობა;
- საკონტაქტო ზედაპირის ცვალებადობა.

ზედაპირის მიხედვით, რომელიც კვალის მიმღებ ობიექტს ახასიათებს, შესაძლებელია, რომ სახეზე გვქონდეს ზედაპირული ან ჩაღრმავებული კვალი.[32] საკონტქტო ზედაპირის მიმღების გამოკვეთის შემთხვევაში სახეზე გვაქვს მოცულობითი კვალი. მოცულობითი კვალი წარმოიქმნება, როდესაც კვალის მიმღებმა ობიექტმა განიცადა გარკვეული ძალის ზემოქმედება.

მოცულობითი კვალის შემთხვევაში აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ უფრო რბილი ზედაპირი ჰქონდეს კვალის მიმღები ობიექტის ზედაპირს, ვიდრე იმ ობიექტს, რომელიც კვალს ტოვებს. მოცულობით კვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მაგალითად ადამიანის ფეხის კვალი მიწის ზედაპირზე. ასეთ დროს მიწაზე ჩნდება ფეხის ჩაღრმავებული კვალი.

ეს განსაკუთრებით მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არის შესაძლებელი, თუ მიწის ზედაპირი თავისი სტრუქტურით და გარემოფაქტორებით ფხვიერი და რბილია. ამ პირობებში ფეხის კვალი მკაფიოდ და კარგად რჩება მიწის ზედაპირზე. სხვა შემთხვევაში მოცულობითი კვალის მიერ დატოვებული ანაბეჭდი უმნიშვნელოა.

[32] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 159.

ზედაპირული კვალის შემთხვევაში საკონტაქტო მასა არ იცვლის ფორმას, მაგრამ კვალის აღბეჭდვა მაინც ხდება მასზე. ზედაპირული კვალის დაყოფა შეგვიძლია ორ ქვეკატეგორიად:

- დაშრევებული;
- აშრევებული კვალი.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღებ ობიექტზე ხდება კვალის აღბეჭდვა, დაშრევებული კვალის სახელწოდებით არის ცნობილი ტრასოლოგიაში. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ისეთ გლუვ ზედაპირზე დატოვებული თითის კვალი, როგორიც არის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, მინა ან სხვა.

ამ მოცემულობაში ჩვენ ვიღებთ დაშრევებულ კვალს, რომელიც ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად უნდა იქნეს გულდასმით გამოკვლეული შესაბამისი მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით.

რა ქმნის დაშრევებულ კვალს? ამ კითხვაზე ჩვენ დაგვეხმარება ადამიანის ანატომიურ-ბიოლოგიური სტრუქტურის მოშველიება, რადგან, როგორც ცნობილია, ადამიანის ორგანიზმი სპეციალური დვრილების მეშვეობით, რაც განთავსეულია მთელ სხეულზე, მათ შორის ხელის თითებზეც, გამოყოფს დღე ღამის ნებისმიერ დროს მარილსა და ოფლს. აღნიშნული კი ეფინება ხელით შეხების შემთხვევაში მიმღებ ობიექტს და რჩება მის ზედაპირზე. ასეთ შემთხვაში ჩვენ ვღებულობთ დაშრევებულ კვალს.

ტრასოლოგიაში განასხვავებენ სტატიკურ და დინამიკურ კვალს. უძრავ მდგომარეობაში დატოვებული კვალი მიჩნეულია სტატიკურ კვალად, რომელიც გადადის ობიექტზე. ეს, როგორც წესი, მიმღებ ობიექტზე უძრავ მდგომარეობაში ხდება.

აღნიშნულ შემთხვევაში მიმღებ ობიექტზე მკაფიოდ და ზუსტად არის კვალწარმომქმნელის მიერ დატოვებული ნიშნები მიმღების ზედაპირზე. იგი ინახავს ისეთ მაინდენტიფიცირებელ ინფორმაციას, როგორიც არის კვალწარმომქმნელის ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და მახასიათებელები.

აღნიშნულ კვლებს უნდა მივაკუთვნოთ დაწოლის ან დარტყმის შედეგად წარმოშობილი კვლები. იგი ასევე ჩნდება დაცემის დროს. აღნიშნულ მომენტში კვალი კარგად აღიბეჭდება მიმღების ზედაპირზე, მის სტრუქტურაზე.

მოძრავი ობიექტი, რომელიც ტოვებს კვალს, სტატიკურად დროის უმცირეს მონაკვეთში ახდენს აღბეჭდვას ზედაპირზე. მაგალითად, მანქანის საბურავს თუ განვიხილავთ მოძრავ ობიექტად, ის ასევე უძრავიც არის დროის იმ მონაკვეთში, როდესაც შეხებას ახდენს ზედაპირზე. მართალია, აღნიშნული დრო, ზოგ შემთხვევაში, წამზე უფრო მცირე დროითაც ხასიათდებოდეს, მაგრამ მაინც უძრავად უნდა იქნეს მიჩნეული.

მოძრაობის პროცესში დატოვებული კვალი განხილულია, როგორც დინამიური კვალი. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მაგალითად, თხილამურების შედეგად დატოვებული კვალი. ასევე, სატრანსპორტო საშუალებათა მიერ საბურავით დატოვებული კვალი, როდესაც მანქანა ახდენს დამუხრუჭებას მიწის ზედაპირზე და საბურავზე ჩნდება სპეციფიური კვალი. ასევე, იარაღით გასროლის შემთხვევაში, ტყვიაზე არსებული კვალი. ამ შემთხვევაში ტყვია ახდენს მიმღები ობიექტის დაზიანებას და კვალის დატოვებას, მაგრამ ამავდროულად, მასზეც აღიბეჭდება იმ ზედაპირის სტრუქტურა და მახასიათებელი ნიშნები, რომელ ზედაპირსაც ეხება ტყვია.

როგორც წესი, ხაზობრივ კვალს განეკუთვნება დინამიკური კვალი, რომლის სიღრმე, მოცულობა და სიმაღლე არის სხვადასხვა.

კვლის წარმომქმნელი ობიექტისთვის არსებული დეფექტები ქმნიან დინამიკური კვალის დატოვების მნიშვნელოვან წინაპირობას. ტრასოლოგიურ ანალიზში დინამიკურ კვალს ყოველთვის არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან ის არ ატარებს ინდივიდუალურ და კერძო სახის ნიშნებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მაიდენტიფიცირებელი ნიშნების დადგენა.

აღნიშნული კვალი იძლევა კარგ შესაძლებლობას, კვლევის პროცესში წარმოებულ მსჯელობას შეუწყოს ხელი, მაგალითად საგნის ფორმასა და ზომის განსაზღვრის პროცესში. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული დინამიკური კვალი შესაძლებელია ობიექტის ინდივიდუალური ნიშან-თვისებათა დადგენის საქმეშიც უნიკალურ მახასიათებლად იქნეს ჩათვლილი.

ტრასოლოგიაში საკონტაქტო ზედაპირის ცვალებადობის შესაბამისად განარჩევენ ლოკალურ და პერიფერიული სახის კვალს.

ტრასოლოგიური გამოკვლევა უმეტესწილად იცნობს ლოკალურ კვალთა მთელ რიგ წყებას, როგორიც არის, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებათა ან ფეხის კვალი.

რაც შეეხება პერიფერიულ კვალს. ასეთი კვალის შემთხვევაში ცვლილებას განიცდის პერიფერია და არა საკონტაქტო ზედაპირი.

მაგალითად, ბუნებრივი ნალექის შემთხვევაში (თოვლი, წვიმა) ცვლილებას განიცდის პერიფერია და არა ის მოცემული ადგილი, სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალება იყო განთავსებული.[33] კვალი შეიძლება არსებობდეს როგორც მექანიკური სახის წარმოშობის, ისე ქიმიური ან სითბური ზემოქმედებით გამოწვეული. მექანიკური ზემოქმედებით წარმოქმნილი კვალი, უმეტეს შემთხვევაში, ჭრბობს ტრასოლოგიური გამოკვლევების დროს. მექანიკური ზემოქმედება სხვადასხვა სახის არსებობს. ეს შეიძლება იყოს ქიმიური, სითბური, დაწოლით და ა.შ. ქიმიური ზემოქმედება მიეკუთვნება იმ სახის კვალს, როდესაც ქიმიური დამუშავების შედეგად ხდება ტექსტის ქიმიური წესით წაშლა ან სხვა მოქმედებათა განხორციელება.

ტრასოლოგიაში ხშირად გამოიყენება საქმეთა გახსნისათვის ხელის და ფეხის კვალთა ტრასოლოგიური ანალიზი, რაც კრიმინალისტური გამოკვლევის პროცესში ბუნებრივ და არსებითი შინაარსის და მოცემულობის მატარებელია.

შემთხვეის ადგილზე, პიროვნების მიერ, იმისათვის, რომ დანაშულის კვალი დაფაროს, ხდება სხვადასხვა მექანიკური მოძრაობის შესრულება ხელ-ფეხის გამოყენებით. აღნიშნული კი ბუნებრივად წარმოშობს ზედაპირზე ზემოაღნიშნულ ორგანოთა მიერ დატოვებულ ნიშნებს, რომელთა აღმოჩენა და შესწავლა მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს.[34]

ადამიანის მიერ დატოვებული კვალი გამოძიების პროცესში ყურადსაღებ მოცემულობას წარმოადგენს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ისეთ კვალს, როგორიც არის თმის ღერი, სისხლის ლაქა,

---

[33] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 162;

[34] შ. ფიცხელაური, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ. 2005, გვ. 164.

თითის ანაბეჭდი. აღნიშნული ბიოლოგიური ნარჩენები საკმარის მტკიცებულებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან მარტივად არის შესაძლებელი პიროვნების იდენტიფიცირება გენეტიკური ანალიზის და შედარების შედეგად.

ამ ტიპის სამხილები თითქმის არსებობს მეტნაკლები ოდენობით დანაშაულის ადგილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ დამნაშავე თითქმის ყოველთვის ტოვებს გარკვეული სახის კვალს, რომელიც ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად საჭიროებს დაზუსტებას და შესწავლას.

ხალხმრავალ ადგილზე ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ისეთი სამხილები, როგორიც არის, მაგალითად, სისხლის კვალი ან ქსოვილის ბოჭკო, გარკვეულ საგონებელში აგდებს გამომძიებლებს, რადგან ასეთ დროს დიდი მონდომება და სიზუსტის დაცვაა საჭირო, რათა უდანაშაულო ადამიანი არ აღმოჩნდეს ბრალდებული, ხოლო დამნაშავე დაუსხლტეს გამოძიებას. დანაშაულის გახსნა არსებითად ძალუძს სწორ სამხილებს, რომელთა აღმოჩენაც გამოძიების პრეროგატივაა.

ცრუ სამხილებს არსებითად შეუძლია საქმის გაფუჭება და კვალის არევა, რაც გამომძიებელს დიდი სირთულის წინაშე ამყოფებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე პირობებში ტრასოლოგია იძენს განსაკუთრებულ და საგულისხმო მეცნიერულ და პრაქტიკულ დატვირთვას, რომლის გამოყენებაც დანაშაულის ეფექტური გამოძიების ერთ-ერთი არსებითი და მნიშვნელოვანი ნაწილია.

წარმოდგენილი მიმართულება კრიმინალისტიკური ტექნიკისა რომ არ ყოფილიყო საგამოძიებო პრაქტიკაში, მივიღებდით იმგვარ სურათს, რომ დანაშაულთა გახსნა თითქმის შეუძლებელი გახდებოდა, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში კი მინიმალიზირებულია მისი გაუხსნელობის კოეფიციენტი, რაშიც ლომის წვლილი ტრასოლოგიას შეაქვს.

არანაირი აზრი და მნიშვნელობა არ მიენიჭებოდა იმ ზემოაღნიშნულ კვლევებს, რომლებიც უკვე განვიხილეთ.

ზოგიერთ შემთხვევაში, რასაც გამოძიების არაერთი პრაქტიკული შემთხვევა ადასტურებს, დამნაშავემ დანაშაულის ადგილიდან შეიძლება მიიღოს ტანსაცმელზე დანაშაულის ადგილზე არსებული ნივთიერებათა კვალი, რაც ამარტივებს დამნაშავის ამოცნობის საკითხს.

აღნიშნული საკითხები, როგორც უკვვე აღვნიშნეთ, განეკუთვნება ტრასოლოგიის სპეციფიკას, რომლის შესწავლაც მართლაც რომ სერიოზულ საკითხთა ერთობლიობას წარმოადგენს, რაც დანაშაულის გახსნას ბევრად ამარტივებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონდამრღვევის ამოსაცნობად მნიშვნელოვანია არსებობდეს მცირდი სამხილიც კი, რათა დამნაშავე პირის იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდეს.

ფული და სხვადასხვა სახის ძვირფასეულობა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ხდება, მკვლელობის საქმეში, როდესაც აღნიშნული ნივთები ხდება მოპოვებული არამართლზომიერი დასაკუთრების გზით. ნივთები, რომლებიც შეძენილია იმ ნივთების რეალიზებით, რომელიც დანაშაულის შედეგად იქნა მოპოვებული ან დანაშაულის ადგილიდან წამოღებული ფულით, ხდება ფასეული გამოძიების პროცესში დანაშაულის კვალზე გასვლისათვის.[35]

გამოძიების ორგანოებს აღნიშნული საკითხი არ ათავისუფლებს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაადგინონ შეძენილ ფასეულობასა და დანაშაული ფაქტს შორის. აღნიშნული მოქმედებები აუცილებელია განხორციელდეს სხვა ტიპის საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით.

მსგავსი ტიპის ობიექტები მას შემდეგ უნდა მივიჩნიოთ მტკიცებულებად, როდესაც შესაძლებელი გახდება აღნიშნული ნივთების დასაკუთრება გამოძიების ორგანოთა მიერ მიჩნეული იქნება,[36] როგორც დანაშულებრივი გზით მოპოვებული ობიექტები, რაც სხვა მტკიცებულებებით იქნება გამყარებული.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ტრასოლოგიას სისხლის სამართალწარმოებაში უდიდესი, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს, რადგან სწორად მისი მეშვეობით არის შესაძლებელი უტყუარი და უნიკალური ნივთიერი მტკიცებულებების და შესადარებელი საკვლევი მასალების მოპოვება.

---

[35] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა არსი და მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის საქმეში, სამართალი, 2001, #50, გვ. 63;
[36] იქვე, გვ. 59.

2.2 მტკიცებულებათა კლასიფიკაცია

სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებათა კლასიფიკაციას ანუ მათ დაყოფას ცალკეულ სახეებად. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია ხელს უწყობს დასაბუთებული დასკვნების ფორმირებას სისხლის სამართლის საქმეზე.

სისხლის სამართლის პროცესში მიღებულია მტკიცებულებათა კლასიფიკაციის 4 სახე, კერძოდ:[37]

1. გამამართლებელი და გამამყუნებელი მტკიცებულებები;
2. პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები;
3. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები;
4. პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები.

გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებები - მტკიცებულებების ასეთი სახით დაყოფად საფუძვლად ბრალდების საგანი უდევს. ასეთი სახით მტკიცებულებების დაყოფას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც წესი, უნდა იქნეს დადგენილი ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები ანუ წარმოუდგენელია სისხლის სამართლის საქმე ბრალის დამამტკიცებელი და ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. გამამატყუნებელ მტკიცებულებებად მიჩნეულია ფაქტიური მონაცემები. მათ შესაძლოა გაამტყუნონ ბრალდებული ან დაუმძიმონ დანაშაული.

გამამტყუნებელი მტკიცებულების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტის დასკვნა, რომლითაც მტკიცდება, რომ შემთხვევის ადგილზე თითის ანაბეჭდი დატოვებულია ბრალდებულის მიერ.

---

[37] სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. სამართალი, თბ., 2009, გვ. 377.

გამამართლებელი მტკიცებულებები, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ამართლებენ პირს გარკვეული დანაშაულის ჩადენაში ან ამსუბუქებენ მის მდგომარეობას.

გამამართლებელი მტკიცებულების მაგალითი: თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა სხვა ქალაქში, იმას ნიშნავს, რომ ამ მომენტში მას არ შეეძლო ჩაედინა კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული.

შესაძლოა, კონკრეტული მტკიცებულება განისაზღვროს, როგორც გამამართებელი, ასევე გამამტყუნებელი მტკიცებულება. მაგ.: ექსპერტის დასკვნა, რომ ფეხის კვალი შემთხვევის ადგილზე დატოვებულია ბრალდებულის მიერ (გამამტყუნებელი მტკიცებულებაა), ხოლო თითის ანაბეჭდი საგანზე დატოვებული არ არის ბრალდებულის მიერ (გამამართლებელი მტკიცებულებაა).

გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებები, როგორც ზემოთ უკვე აიღნიშნა, თავის შეფასებას საბრალდებო დასკვნაში პოულობენ. თუმცა, საბოლოოდ, სასამართლოს განაჩენში.

საბრალდებო დასკვნა უნდა შეიცავდეს მტკიცებულებათა დამაჯერებელ ანალიზს, რაც ეხმარება სასამართლოს სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ განაჩენის დასაბუთება შეუძლებელია მტკიცებულებათა ამგვარი დაყოფისა და მათი ანალიზის გარეშე. ამიტომ, მტკიცებულებათა ამგვარ დაყოფას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. [38]

პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები. გამამტყუნებელი და გამამართლებელი მტკიცებულებების მსგავსად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებათა პირველად და წარმოებულ მტკიცებულებებად დაყოფას.

პირველადი და წარმოებული მტკიცებულებების დაყოფის საფუძველია მტკიცებულების მიღების წყარო.

პირველად მტკიცებულებებს მიეკუთვნება მტკიცებულებები, რომელიც მიღებულია პირველი წყაროდან. წარმოებული მტკიცებულება კი ისეთი მტკიცებულებაა, რომელიც

[38] სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. სამართალი, თბ., 2009, გვ. 377.

მიღებულია მეორე წყაროდან. პირველადი მტკიცებულებების მაგალითია დანაშაულებრივი ფაქტის თვითმხილველი მოწმის ჩვენება.

წარმოებული მტკიცებულების მაგალითია მოწმის ჩვენება მოვლენაზე, რომელიც მან გადმოცემით იცის. ნაწარმოები მტკიცებულების გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ცნობილი იყოს მისი მიღების წყარო. ამასთანავე, აუცილებელია წყაროსთან კონტაქტზე გასვლა, მისი დაკითხვა. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ვერ უთითებს წყაროზე, ასეთი ინფორმაცია მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება.

როგორც აღინიშნა, პირველად მტკიცებულებას უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს. შესაბამისად, სწორედ იგი ინახება საქმეში. პირველადი მტკიცებულება უფრო ახლოს არის სინამდვილესთან და ობიექტურობასთან.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ საქმეს შესაძლოა დაერთოს წარმოებული მტკიცებულება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველადი მტკიცებულების საქმეზე დართვა შეუძლებელია მისი დიდი მოცულობის ან მალფუჭებადობის გამო.

პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები. პირდაპირ და ირიბად მტკიცებულებათა დაყოფის საფუძველი მტკიცებულების კავშირია მტკიცების საგანთან.

მტკიცებულება პირდაპირ მტკიცებულებად არის მიჩნეული, თუ იგი უშუალო კავშირშია მტკიცების საგანთან. ამასთანავე, პირდაპირ უნდა ამტკიცებდეს მტკიცების საგანს ან მის რომელიმე ელემენტს.

პირდაპირი მტკიცებულების მაგალითია, როცა მოწმე იძლევა ჩვენებას, რომ მან უშუალოდ იხილა ფაქტი.

ირიბია მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ არ ამტკიცებს მტკიცების საგანს, მაგრამ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს საქმეზე მტკიცების საგანი.

არაპირდაპირი მტკიცებულების მაგალითია ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, რომ თითის ანაბეჭდი დატოვებულია კონკრეტული პირის მიერ. ასეთი დასკვნა მართალია არ ამტკიცებს მტკიცების საგნს, მაგრამ თუ დადგენილი იქნება სხვა გარემოებები, იძლევა საშუალებას, დავადგინოთ მტკიცების საგანი, პირის ბრალეულობა.

პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები. მტკიცებულებათა ასეთი სახით დაყოფას საფუძვლად უდევს მტკიცებულებითი ფაქტებისა და გარემოებების აღქმა და მისი გადმოცემა.

მტკიცებულება პიროვნულია, თუ იგი ფორმდება წერილობითი ფორმით. პიროვნული მტკიცებულებაა:[39]

- დაკითხვის ოქმი;
- ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ოქმი;
- ექსპერტის დასკვნა და ა.შ.

რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებებს. ნივთიერია მტკიცებულება, რომელიც გამოსახულია მატერიალური ობიექტების სახით, მაგ:

- ფეხის კვალი;
- ნივთები;
- საგნები;
- ფასეულობა და ა.შ.

ნივთიერი მტკიცებულება დაწვრილებით აღწერას საჭიროებს. აღწერისას აუცილებელია მისი ზოგადი და კერძო ნიშნების დაფიქსირება.

ამრიგად, მტკიცებულებათა კლასიფიკაციას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და აუცილებელია ნებისმიერი სისხლის სამართლის განხილვის დროს.

[39] სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009, გვ. 380.

თავი III. ნივთიერი ობიექტების შეკრების საშუალებები სისხლის სამართალწარმოებაში

ნივთიერი მტკიცებულებების შეკრების და მოპოვების მიზნით სისხლის სამართალწარმოების პროცესში ტარდება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები:

- ჩხრეკა და ამოღება;
- დათვალიერება;
- საგამოძიებო ექსპერიმენტი და სხვა.

ეს ის საგამოძიებო მოქმედებებია, რომლებიც ორიენტირებულია მტკიცებულებათა მოპოვებაზე. ამ დროს მოიპოვებენ:

- საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს;
- საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანს;
- საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერებას;
- საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტს.[40]

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით დგინდება საგამოძიებო მოქმედებათა ზოგადი წესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პროცესი შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული. თანაბარი უფლებები ენიჭებათ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროცესში მონაწილე მხარეებს.

სასამართლო განჩინება არის საჭირო იმისათვის, რათა დაცვის მხარემ საგამოძიებო მოქმედებები ჩაატაროს და შეძლოს მტკიცებულებათა მოპოვება. აღნიშნული განჩინების თანახმად, დამოუკიდებელი გამომძიებელი უძღვება საქმის შესწავლას.

ასეთი პირი არ უნდა აწარმოებდეს მოცემული საქმის გამოძიებას. მოსამართლის ფუნქცია და არსებითი როლი აღნიშნულთან მიმართებაში არის ის, რომ მხარეები ჩააყენოს თანაბარ პირობებში, რათა პროცესი წარიმართოს სამართლიანად.

---

[40] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, მეექვსე გამოცემა, ბონა-კაუზა, თბ., 2015, გვ. 159.

მეთოდები, რომელიც შესაძლებელია მნიშვნელოვნად აუცილებელი და საჭირო გახდეს საგამოძიებო პროცესში, არის სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო მოქმედებების წარმართვა საჭიროებს განსაკუთრებულ ცოდნაზე დაფუძნებულ გამოძიებას, ასეთ შემთხვევაში, ექსპერტის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია.[41]

3.1 ჩხრეკა. ამოღება

აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს საგამოძიებო პროცესში ჩხრეკის წარმოება, რომელიც აუცილებლად კანონმდებლობის უტყუარი და ზუსტი დაცვით უნდა განხორციელდეს, რათა ჩხრეკისა და ამოღების პროცესში არ მოხდეს ბრალდებული პირის უფლებების უხეში დარღვევა და საგამოძიებოს საქმისათვის ნებსით თუ უნებლიეთ ხელშეშლა.

ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებლის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს, მოახდინოს უფლება-მოვალეობათა განმარტება, რომელიც ჩხრეკას და ამოღებას თან ახლავს. გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე, ღამით, ჩხრეკა-ამოღების განხორციელება არამიზანშეწონილ ქმედებად მიიჩნევა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსაკუთრებული და გადაუდებელი საჭიროების გამოვლენის აუცილებლობა, შემთხვევაში ჩხრეკა უნდა განხორციელდეს.

სასამართლო განჩინების შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს იმ პირს, ვის მიმართაც ხორციელდება საგამოძიებო მოქმედებები. უფლებამოსილმა პირმა უნდა დაადასტუროს წერილობით აღნიშნული ფაქტი.[42]

შესაძლებელია გამოძიებას ქონდეს ეჭვი, რომ ესა თუ ის ნივთი, რომლის ამოღებაც არის გამოძიებისთვის აუცილებელი და საჭირო, მისი კონკრეტული მდებარეობა განთავსების მიხედვით არ იყოს დადგენილი, თუ რომელ ოთახში ან კონკრეტულად სად მდებარეობს. ნიშნები, რომლებიც ამოსაღებ საგანს სხვა საგნებისგან განარჩევს აღნიშნული უსათუოდ უნდა იქნას ცნობილი გამოძიებისათვის.

---

[41] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 111; (ნანახია/;01.06.2020)

[42] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, მეექვსე გამოცემა, ბონა კაუზა, თბ., 2015. გვ. 164.

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებულს ეცვა ლურჯი ქურთუკი და თეთრი მაისური, ასეთ შემთხვევაში კონკრეტული ნიშნების არსებობის და ცოდნის პირობებში, გამომძიებელს შეუძლია განახორციელოს ამოღების პროცედურა, მაგრამ ამოღება ვერ განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არ არის ცნობილი ზუსტი მახასიათებლები, რა სახის ტანსაცმელი უნდა იქნას ამოღებული. ასეთ შემთხვევაში ტარდება ჩხრეკა.

ამოღება შეიძლება ჩხრეკაში გადაიზარდოს, თუ:

ა) ამოსაღები ობიექტის წარდგენაზე უარი იქნება;

ბ) არასრულად არის წარმოდგენილი ამოსაღები ობიექტი;

გ) სხვა დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა ამოღების დროს და სხვა ობიექტის ამოღების აუცილებლობა გახდა საჭირო, რა დროსაც წარდგენაზე აცხადებენ უარს.

იძულებითი ხასიათი გააჩნია ჩხრეკას სისხლისსამართალწარმოებაში. იძულებითი ჩამორთმევა უნდა მოხდეს ჩხრეკის დროს პირისათვის. ამოღებასა და ჩხრეკას აქვთ საერთო მიზნები, რომელთა განხორციელებისთვისაც ისინი იღწვიან.

მიზნად შეიძლება მოვიაზროთ, მაგალითად, საქმისთვის არსებითი და მნიშვნელობის მქონე საგნების ამოღება, რაც ნივთიერ მტკიცებულებად იქნება გამოყენებული გამოძიების პროცესში.

საჭიროა არსებობდეს ჩხრეკის განსახორციელებლად როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობირივი საფუძვლები. მოსამართლის განჩინება არის აუცილებელი, რათა მოხდეს ჩხრეკის წარმოება. აღნიშნული ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მყარი ეჭვი იმის შესახებ, რომ ბრალდებულმა, შესაძლოა თავიდან მოიცილოს შესაბამისი ნივთები.

გამოძიების მონაწილე მხარეს ჩხრეკისა და ამოღების ობიექტი შეძლებისდაგვარად უნდა წარედგინოს. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ნივთების აღწერა, მათი შეფუთვა და დალუქვა.

განსხვავებული სახისაა პოლიტიკური ორგანიზაციის შენობაში ჩხრეკისა და ამოღების წესი, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციის თუ მედია საშუალების ჩხრეკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის, დიპლომატების ოჯახის ჩხრეკა და ამოღება. აღნიშნულისათვის მნიშვნელოვნია, რომ არსებობდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის შესაბამისი ნებართვა, რომლის გამოთხოვაც ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით.

ჩხრეკის პროცედურებს სამინისტროს წარმომადგენელი ან დიპლომატიური წარმომადგენლობის შესაბამისი პასუხისმგებლობის ხელმძღვანელი პირი უნდა ესწრებოდეს.

დაუშვებელია ასევე ზემოაღნიშნულ დაწესებულებებსა თუ გაერთიანებებში ამოღების და ჩხრეკის ჩატარება, თუ ვარაუდი არ არსებობს დასაბუთებული სახით იმისა, რომ ამოსაღები დოკუმენტი, საგანი, ნივთიერება თუ ინფორმაციის მატარებელი ობიექტი დანაშაულის იარაღი ან საგანია.

3.2 დათვალიერება

დათვალიერება პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება შეუძლია მხარეს. აღნიშნული მოქმედება ხორციელდება მაშინ, როდესაც საჭიროა ნივთიერი მტკიცებულებათა აღმოჩენა ან დანაშაულის კვალის დადგენა.

თუ კერძო საკუთრებას წარმოადგენს დასათვალიერებელი ადგილი, იგი სასამართლო გაჩინების საფუძველზე ტარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მფლობელი დათვალიერებასთან დაკავშირებით, თანხმობას წერილობითი სახით განაცხადებს, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტარდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

გადაუდებელი აუცილებლობით შესაძლებელია ჩატარდეს დათვალიერება, თუ მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვების ან მათი დაკარგვის რეალური საფთხე წარმოიშობა. ეს იმ შემთხვევაში, თუ ზედაპირული დათვალიერებისას აღმოჩნდება გარკვეულ ნივთიერებათა კვალი, რომელიც ჯანმრთელობის და სიცოცხლის მოსპობისათვის არის საშიში.

დათვალიერების კლასიფიკაცია, შესაძლებელია დალაგდეს მათი მოცულობის, თანმიმდევრობის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს პირველადი და განმეორებითი დათვალიერება, რომელიც ვლინდება თანმიმდევრობის მიხედვით.

ობიექტის მიხედვით კი შესაძლებელია არსებობდეს ადგილმდებარეობის, საგნის, შენობის, დოკუმენტის შემთხვევის ადგილის და სხვა ობიექტის დათვალიერება. რაც შეეხება მოცულობის მიხედვით დათვალიერებას, იგი წარმოადგენს დამატებით და ძირითად დათვალიერებას.

პირველადი დათვალიერება - აღნიშნული ხდება მაქსიმალურად სწრაფად, რაც წარმოადგენს მეტად მობილურ და ეფექტურ საშუალებას, რადგან მტკიცებულებები ასეთ შემთხვევაში უცვლელი სახით არსებობს. იმ შემთხვევაში ხდება დამატებითი დათვალიერება საჭირო, თუ უხარისხოდ მოხდა მტკიცებულებათა და კვალთა დათვალიერება. რაც შეეხება შემთხვევის ადგილის და სხვა ადგილების დათვალიერებას, ასეთ დროს აუცილებელ პირობას წარმოადგენს, დადგინდეს შემთხვევის ადგილზე არსებული დანაშაულის კვალი, სხვა ნივთიერი მტკიცებულებები, რაც დათვალიერების პროცესში ხდება ცხადი გამოძიებისათვის.[43]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევის ადგილის დაცვა აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, რომელიც საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე უნდა განხორციელდეს, რადგან უცვლელი ფორმით მნიშვნელოვანია არსებობდეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე ყველა ის ნივთი თუ საგანი, რაც პირველადი მონაცემებით იყო წარმოდგენილი დანაშაულის ჩადენის პროცესში. აღნიშნული საჭიროა, რათა მნიშვნელოვანი და ეფექტური მტკიცებულებათა შენარჩუნება და არ დაკარგვა ეფექტურად განხორციელდეს.

3.3 ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნა

ექსპერტის ინსტიტუტი ყოველთვის საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. ექსპერტად მოიხსენიებოდა პირი, რომელიც სპეციალური ცოდნით იყო აღჭურვილი. მოსამართლეები

[43] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2015, გვ. 170-171.

ხშირად განაჩენის დადგენისას სწორედ ექსპერტის დასკვნას ეყრდნობოდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში აზრთასხვაობა არსებობს.

მეცნიერთა ნაწილი ექსპერტის დასკვნას სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან შედარებით უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს. მოქმედი კანონმდებლობით, ექსპერტის დასკვნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება დაუშვებელია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტი – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.[44]

სპეციალური ცოდნა გულისხმობს ცოდნას, რომელიც სცილდება სამართლებრივი ცოდნისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ფარგლებს, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანთა გამოცდილებიდან. სპეციალური ცოდნა პროფესიონალურ ცოდნას, ჩვევებსა და ოსტატობის ერთობლიობას გულისხმობს.

სპეციალური ცოდნა საყოველთაოდ ცნობილ და ხელმისაწვდომ ცოდნათა რიცხვს არ მიეკუთვნება. ის მასობრივად არაა გავრცელებული. სპეციალურ ცოდნას პროფესიონალურ დონეზე სპეციალისტების მხოლოდ ვიწრო წრე ფლობს.

ექსპერტის მოსაზრებები, თავისი ხასიათით, შეიძლება იყო მხოლოდ კატეგორიული და საფუძვლიანი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ექსპერტს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალას, ამოიწეროს საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი;

---

[44] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034 (ნანახია/;01.06.2020)

ბ) მოითხოვოს დამატებითი მასალის წარდგენა; გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტის საცდელი ნიმუში; ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია;

გ) უარი თქვას დასკვნის მიცემაზე და ექსპერტიზის გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;

დ) ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას

ე) მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანთან და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში;

ვ) მტკიცებულების აღმოჩენის, გამოკვლევისა და დემონსტრირებისათვის გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

გარდა უფლებებისა, მას აკისრია ვალდებულებები. კერძოდ:

ა) თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესახებაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუსვამს, იგი ასახოს დასკვნაში;

ბ) დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დახარჯულა;

გ) თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი, განაცხადოს თვითაცილება.[45]

მტკიცებულებათა სხვა სახეებისაგან განსხვავებით, კანონი ადგენს გარემოებებს, როდესაც ექსპერტის დასკვნის გარეშე არ შეიძლება იქნეს აღიარებული დადგენილად ან დაუდგენლად ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ა. სიკვდილის მიზეზი; ბ. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ხარისხი და ხასიათი; გ. ბრალდებულის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც წარმოიშვება ეჭვი, მისი შერაცხადობის

[45] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034 (ნანახია/;01.06.2020)

შესახებ. ბრალდებულის ასაკი, როდესაც აღნიშნულს აქვს მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმესათვის, ხოლო დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს მის ასაკს, არ არსებობს ან იწვევს ეჭვს.

ექსპერტი, აღიქვამს მტკიცებულებით ფაქტებს და არა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს. დასკვნის ფორმირების პროცესს ექსპერტის მიერ აღქმული და გამოკვლეული მტკიცებულებების ფორმირების პროცესი უსწრებს წინ.

კანონმა განსაზღვრა ექსპერტის დასკვნის, როგორც მტკიცებულებათა ერთ-ერთი სახის, არსებითი, წერილობითი ხასიათი.

შინაარსი კი განისაზღვრა ექსპერტისადმი დასმულ კითხვებზე პასუხით, რომელიც უნდა მოიცავდეს მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის აღწერას. ექსპერტის დასკვნაში მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს როგორც კვლევით ნაწილს, ისე ექსპერტიზით დადგენილ შედეგს.

ექსპერტის დასკვნა სტრუქტურულად 3 ნაწილისაგან შედგება:[46]

- შესავალი;
- აღწერილობითი ნაწილი;
- დასკვნითი ნაწილი.

ექსპერტის დასკვნის დასაშვებობა ფასდება რამოდენიმე პარამეტრით:

- ექსპერტის კვალიფიკაციის შესაბამისობა ჩატარებულ ექსპერტიზასთან;
- კანონმდებლობის სრული დაცვა;
- ნივთიერ და სხვა სახის მტკიცებულებათა დასაშვებობა, რომელიც ემსახურება საექსპერტო გამოკვლევის ობიექტებს.

ექსპერტის დასკვნის შეფასების დასაბუთება მოიცავს თავის თავში ექსპერტის მიერ გამოყენებული მეთოდიკის გამოყენებას.

„გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ შესრულებული ფოტო და სურათი, გრაფიკა, ცხრილი, ნახაზი, ექსპერტის დასკვნის შემადგენელი ნაწილია. შედარებითი გამოკვლევის

[46] სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009, გვ. 383.

დროს ექსპერტის მიერ გაკეთებული ექსპერიმენტული ტყვიები, მასრები და სხვა ნიმუშები უნდა დაერთოს საქმეს, როგორ ნივთიერი მტკიცებულება.“

ექსპერტის დასკვნა დგება იმ შემთხვევაშიც, როცა ექსპერტმა გამოკვლევა დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა კვლევის ობიექტების არასაკმარისობის ან საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო.

თუ გამოკვლევის დაწყებამდე დარწმუნდება კვლევის ობიექტების არასაკმარისობაში ან საკუთარ არაკომპეტენტურობაში, იგი ადგენს აქტს, რომ შეუძლებელია ექსპერტიზის ჩატარება და ამ აქტს ექსპერტიზისათვის გაგზავნილ საგნებთან ერთად უგზავნის ორგანოს, რომელმაც ექსპერტიზა დანიშნა.

თუ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონე ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ექსპერტს არა აქვს ამისათვის საჭირო ცოდნა, ხელსაწყოები და რეაქტივები, მას უფლება აქვს მიუთითოს, რომელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შეიძლება ჩატარდეს ასეთი ექსპერტიზა.

თუ საჭირო არ არის დამატებითი და ახალი გამოკვლევის ჩატარება, ექსპერტის ჩვენება განმარტავს და ავსებს მის დასკვნას. საქმის განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაეკისროს რამოდენიმე ექსპერტს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზას ატარებს ერთი სპეციალობის მქონე რამოდენიმე ექსპერტი, ეწოდება საკომისიო ექსპერტიზა.

ამასთან, ექსპერტებს დასკვნის მიცემისას უფლება აქვთ მოსაზრებები გამოთქვან. თუ კომისიის წევრები მივლენ საერთო დასკვნამდე, ისინი ადგენენ ერთიან დასკვნას. ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაშიც მონაწილეობს რამოდენიმე სხვადასხვა სპეციალობის მქონე ექსპერტი, იწოდება კომპლექსურ ექსპერტიზად.

კომპლექსური ექსპერტიზისას ყოველი ექსპერტი ატარებს გამოკვლევას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. თუ არ არსებობს აზრთასხვაობა ექსპერტებს შორის, დასკვნა ფორმდება კომისიური ექსპერტიზის წესით.

თავი 4. ნივთიერი მტკიცებულების შეფასებისა და ბედის განსაზღვრის თავისებურებები

ყველაზე საპასუხისმგებლო და რთულ ეტაპად მტკიცების პროცესში უნდა მივიჩნიოთ მტკიცებულებათა შეფასება, რაც გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება და მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იურიდიულ ლიტერატურაში. მტკიცებულებათა შეფასება, როგორც წესი, არის მჭიდრო და არსებით კავშირში მათ შემოწმებასთან, რაც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გამოძიების პროცესში.

პ. პაშეკევიჩი აღნიშნავს, რომ „უნდა იქნეს დადგენილი და განსაზღვრული, თუ რამდენად ზედმიწევნით ზუსტად არის ყოველი მათგანი შესწავლილი, რამდენად დგინდება კავშირი სხვა მტკიცებულებებთან, არსებულ სამხილებთან მიმართებაში.“

აზრობრივი და შემეცნებითი საქმიანობის ერთიანობად უნდა მოვიაზროთ მტკიცებულებათა შეფასების პროცესი, რომელსაც კონკრეტული სუბიექტი ახორციელებს. ამასთან, იგი დამყარებულია ობიექტურ კანონზომიერებებზე, რაც აზროვნების და ამოცანათა დასაშვებობის შედეგად მიიღწევა, ასევე საკმარისობისა და ნამდვილობის განსაზღვრაში, რათა გადაწყვეტილებები, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული, უნდა ეფუძნებოდეს მწყობრ, ჩამოყალიბებულ და გონივრულად გამართულ სტრუქტურას, რომელიც მტკიცებულებათა ერთობლიობის სახით გამოძიების პროცესში უნდა იქნეს წარდგენილი საქმესთან მიმართებით.[47]

მტკიცების პროცესიდან შეფასებით ნაწილს სრულებით გაორიცხავს ზოგიერთი მეცნიერი. მათი შეხედულებით, დამოუკიდებელ კატეგორიას განეკუთვნება მტკიცებულებათა შეფასება, როემლიც მტკიცების ფარგლებს გარეთ არსებობს. შეფასება

[47] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005, გვ. 123.

ერთგვარი ლოგიკური ფორმა და საქმიანობა არის, რასაც ვერ დაარეგულირებს იურიდიული კანონები.[48]

ერთ-ერთ მისაღებ და კარგ განმარტებას მტკიცებულებათა განსაზღვრების და შეფასების შესახებ გვთავაზობს მ.მ. გროძინსკი: „საქმესთან უშუალო კავშირში მყოფ მტკიცებულებათა სამხილებისა და წყაროთა შეკრება, რომელიც წარმოადგენს მტკიცების დასასაბუთებელ უმნიშვნელვანეს კომპონენტს, როდესაც საჭიროა ფაქტებზე დამყარებული ცნობების მიღება.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებათა შეფასება წყაროთა განლევისა თუ ამოწურვით, როდესაც მნიშვნელობის დადგენა ხორციელდება მტკიცებულებათა ფაქტების დასადგენად. აღნიშნული საკითხი ასევე გულისხმობს ერთგვარ დასკვნებსაც, რომელსაც სასამართლო ახორციელებს.

ამ შემთხვევაში დგინდება, რამდენად სანდოა მოცემული დასვკნების საფუძველზე არსებული წყარი. ძირითად შინაარს განეკუთვნება მტკიცების შინაარსობრივი მხარე, სადაც ძირითადი აქცენტები გაკეთებულია საქმიანობის ძირითად შინაარსზე. საბოლოო დამასრულებელ ეტაპად კი მიჩნეულ უნდა იქნას მტკიცებულებათა შეფასება.

ზოგიერთი მკვლევარის თანახმად, წყაროსა და მტკიცებულების შემოწმება არსებითად წინ უძღვის შეფასებასა თუ გამოკვლევის საკითხს, რაც მნიშვნელოვან და აუცილებელ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული.

ყველა მოქმედება, რაც სუბიექტის მიერ არის ნაწარმოები, შეფასების ნაწილში წარმოადგენს მტკიცებათა პროცესს, რაც არსებობს სუბიექტის მოქმედებებთან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლი აქცენტს აკეთებს სისხლის სამართლის საქმესთან კავშირზე, სადაც უნდა იქნეს დაცული დასაშვებობა და რელევანტურეობა, ასევე უტყუარობის პრინციპი.

რელევანტურობის საკითხი მტკიცებულებების შეფასების დროს მოიაზრებს მნიშვნელოვან გარემოებებთან და ფაქტებთან არსებით კავშირს.

---

[48] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2005, გვ. 123.

რელევანტურობის საკითხი მხარეთა მიერ უნდა იქნას მოთხოვნილი და გათვალისწინებული, როგორც მტკიცებულებათა შეგროვების თუ მათი გადამოწმებისას ასევე შუამდგომლობის, გასაჩივრებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას.[49]

სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელობაზე მიმთითებელი ნებისმიერი სახის რელევანტური მტკიცებულება, რომელიც ირიბი თუ პირდაპირია, უნდა ჩაითვალოს რელევანტურ მტკიცებულებად.

რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებათა უტყუარობის საკითხს, აღნიშნული მიანიშნებს, რომ მისი ნამდვილობა ეჭვის გამოწვევის საფუძველს არ ქმნის. უტყუარობის შეფასებისას უპირველესად უნდა იქნეს მტკიცებულებათა გათვალისწინება, მათი შეფასება თუ რა პროცესუალური საშუალებით განხორციელდა და იყო თუ არა დაცული ყველა კანონით დადგენილი წესი.

აუცილებლობას წარმოადგენს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ერთი და იგივე გარემოებას წარმოადგენდნენ და წინააღმდეგობა არ ვლინდებოდეს არსებულ მტკიცებულებებს შორის. გამოძიების პროცესში ნივთიერი მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმგებელი ის მხარეა, რომელმაც მოცემული მტკიცებულება მოიპოვა და სწორედ მან უნდა შეძლოს მისი შენახვა უსაფრთხო პირობებში.

სისხლის სამართლის საქმე, თუ იგზავნება სასამართლოში, გადაწყვეტილებას მხარე იღებს მიზაშეწონილობის შესახებ, რომელიც ნივთიერი მტკიცებულების სასამართლოში გადაგზავნას შეეეხება.

---

[49] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ. ავტ. კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 293.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში „ნივთიერი მტკიცებულებები სისხლის სამართალწარმოებაში“ შევეცადეთ, ამომწურავად შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა მტკიცებულებათა ცნება და სახეები, ასევე მათი როლი სისხლის სამართლის პროცესის წარმოებაში.

პირველ რიგში, აღსანიშანვია ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არც ერთ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია. სწორედ ამიტომ, არ არსებობს მტკიცებულებათა სახეების იერარქია.

საქართველოს კანონმდებლობით ყველა მტკიცებულებას ერთნაირი ძალა აქვს, ვიდრე მისი გამოყენება არ მოხდება რომელიმე მხარის სასარგებლოდ. სწორედ მტკიცებულებების გამოყენებაზეა დამოკიდებული კონკრეტული საქმის შედეგი. აქვე აღსანიშნავია მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები.

კანონმდებლობით დადგენილია, რომ ნებისმიერი მტკიცებულება რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს საქმეს, მოპოვებული უნდა იყოს კანონიერად, რადგან ნებისმიერი საქმის ბედი, გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი განაჩენი, დაკავშირებულია მტკიცებეულებებთან. აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას ყველა მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი შესწავლილ იქნეს სრულყოფილად.

პროცესის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, არსებითი ყურადღება დაეთმოს მტკიცებულებათა შეფასებას, რადგან არსებულმა საკითხმა შეიძლება, ერთის მხრივ, მხარისთვის სავალალო შედეგები დააყენოს, ხოლო მეორეს მხრივ, საქმის არსებითი შემობრუნება მოახდინოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ყველა მტკიცებულების როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში, ეფექტური და ჯეროვანი შეფასება.

დანაშაულის გახსნის შესაძლებლობა იმ მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით, ასევე სამეცნიერო მეთოდოლოგიური მიდგომების მეშვეობით იძლევა კარგ საშუალებას, ოპერატიულად მოხდეს დანაშაულის გახსნისათვის ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა და საჭირო ზომების მიღება.

უამრავი კვალი წარმოიქმნება დანაშაულის ადგილზე, რაც ცალსახად საჭიროებს ყველა ნიშან-თვისებათა ზუსტ განსაზღვას და კლასიფიკაციას, რათა ცხადი იყოს გამოძიებისათვის ყველა ის ნიშანი, რაც არსებითად გამოსაყენებელი იქნება გამოძიებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვალთა ვარგისიანობა და საკმარისობა გამოძიების მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. იმ შემთხვევაში, თუ კვალი არ არის საჭირო რაოდენობის ან დაზიანებულია, გამოძიება ფერხდება და ვერ ხდება საჭირო ინფორმაციის მოძიება.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აქტიურად იყენებს თანამედროვე კრიმინალისტიკის მიღწევებს, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კვალთა მოპოვების, გამოკვლევისა და საბოლოო ჯამში, დანაშაულის გახსნის პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, ქართული სახელმწიფო ზრუნავდეს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომელთა მეშვეობითაც მოხდება დანაშაულის დროული გახსნა და დამნაშავის დადგენა.

ნაშრომში განვხილე საგამოძიებო მოქმედებების ცალკეული სახეები, მათი როლი სისხლის სამართალწარმოებაში, ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების საქმეში.

ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა დროსაც წარმოებს ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრება, გარკვეულწილად ზედაპირულად, გარკვეული ხარვეზებით ხორციელდება. აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც საჭიროებს ყურადღების დათმობას საგამოძიებო ორგანოების მხრიდან.

საბოლოოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართალწარმოებაში ნივთიერ მტკიცებულებებს გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ. ნივთიერი მტკიცებულებების კანონმდებლობის შესაბამისად და დაცვით მოძიება, ამოღება, ფიქსირება ან გამოკვლევა იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად დროულად და ეფექტურად მოხდეს დანაშაულის გახსნა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
2. საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 2003;
3. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2008;
4. ბიჭია მ., ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, გამომც, „იურისტების სამყარო“, თბ., 2013;
5. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმილანისტიკა, თბ., 2009;
6. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
7. ი. ტორვალდი, კრიმინალისტიკის ასი წელი, თბ., 1978;
8. ნადარეიშვილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2008;
9. ნადარეიშვილი გ., ნაკრევები სამართლის ისტორიიდან, გამომც. „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1986;
10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015;
11. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009;
12. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013;
13. ფაფიაშვილი შ., დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, თბ., 1999;
14. ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, თბ., 2000;
15. ფიცხელაური შ., სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005;
16. ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010;
17. ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016;
18. ჭელიძე ს., ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემები მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005;

19. ჭელიძე ს., ნივთიერ მტკიცებულებათა არსი და მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის საქმეში, ჟურნ. სამართალი, 2001;
20. ხარაზიშვილ ბ., მტკიცებითი სამართალი, თსუ-ს გამომც., თბ., 1982;
21. საქმე №130აპ-17 - http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ნანახია:05.06.2020)
22. საქმე #330100118002316627 - http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ნანახია:05.06.2020)
23. საქმე №693აპ-17 - http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ნანახია:05.06.2020)
24. Сырков С.М., Орудия преступления. Авт. дис. канд. юр. наук. Ленинградю., 1937.